



უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

03/09/2024



MES 1 24 0001071579

გადაწყვეტილება

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 206046045) სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდოს 1 წლის ვადით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 3 სექტემბრის №1056331 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შესახებ, ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ

მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლემკაშელი დავითი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
იოსელიანი თამარ

